ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

2 სექტემბერი, კვირა, 1990 წ.
№ 166 (10 335) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ მხოლოდ ორი წრე

ნიუ-იორკი. აშშ-ს ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატზე დამთავრდა მეორე წრის შეხვედრები. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო მატჩის შედეგებს:

ვაჟები. პ. კეში — მ. კრატცმანი (ორივე — ავსტრალია) 6:4, 2:6, 2:6, 6:1, 6:4, ა. აგასი (აშშ) — პ. კორდა (ჩეხოსლოვაკია) 7:5, 5:7, 6:0, 6:4, მ. ჩანგი — ჯ. არიასი (ორივე — აშშ) 7:6, 6:3, 6:2, ბ. ჯილბერტი — რ. ლიჩი (ორივე — აშშ) 7:6, 4:6, 6:2, ა. კრიკშტეინი (აშშ) — ჯ. სტოლტენბერგი (ავსტრალია) 6:4, 6:2, 6:4.

ქალები: ჯ. კაპრიატი (აშშ) — ბ. ხუ (კანადა) 6:3, 6:1; ი. ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია) — კ. რინალდი (აშშ) 6:4, 6:3; კ. მალეევა (ბულგარეთი) — კ. კშვენდტი (ლუქსემბურგი) 7:5, 6:1, ზ. ჰარისონი — ა. გავალდონი (ორივე — აშშ) 6:4, 6:0, ა. სანჩესი (ესპანეთი) — კ. კულმანი (აშშ) 6:1, 6:2.

● ელვა-ინფორმაცია

ნიუ-იორკი. აშშ-ს ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის მესამე წრეში თბილისელმა ლეილამ მესხმა იტალიელი კატი პიკოლინი დაამარცხა (6:2, 4:6, 7:6) და გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდა. ლარისა სავჩენკომ კი წაგო ბრძოლა ავსტრიელ იუდიტ ვიზნერთან (1:6, 3:6) და ახპარეზობას გამოეთიშა. მოულოდნელი მარცხი განიცადა მსოფლიოს მესამე ჩოგანმა მონიკა სელეშმა (იუგოსლავია) იტალიელ ლინდა ფერანდოსთან — 6:1, 1:6, 6:7.

ყველა ადგილი

პოდოლსკი. როგორც ვიუწყებოდით, მოჭადრაკე ქალთა 50-ე საუბლეო ჩემპიონატი თბილისელმა ოსტატთაშორისო დიდოსტატმა ქეთევან არახამიამ მოიგო. გთავაზობთ ბოლო ორი ტურის შედეგებს და ჩემპიონატის ყველა მონაწილის საბურნირო მდგომარეობას.

მეთექვსმეტე ტური. არახამია — ერნესტი 0,5:0,5, პოპოვა — მატვეევა 0,5:0,5, დიომინა — უმანსკაია 1:0, შუმიაკინა — ჩიოლუშკინა 0,5:0,5, ბორსუკი — სემიონოვა 0,5:0,5, სტეპოვაია— ციგანოვა 0,5:0,5, ბორულია — ჯანჯღავა 1:0, პუდკოვა — ტაჯიევა 1:0, პრუდნიკოვა — ფურინა 0,5:0,5.

მეჩვიდმეტე ტური. ფურინა — არახამია 0,5:0,5, პოპოვა — ციგანოვა 1:0, ერნესტი — შუმიაკინა 0,5:0,5, ჩიოლუშკინა — დიომინა 0,5:0,5, ტაჯიევა — პრუდნიკოვა 0,5:0,5, ჯანჯღავა — პუდკოვა 0:1, მატვეევა — ბორულია 0,5:0,5, სემიონოვა — სტეპოვაია 1:0, უმანსკაია — ბორსუკი 1:0.

საბოლოო შედეგები. ქ. არახამია (თბილისი) — 13 ქულა; ზ. პოპოვა (ლუგანსკი) — 12,5, ი. ერნესტი (რიგა), ტ. შუმიაკინა (ჩელიაბინსკი), ი. დიომინა (ნოვოსიბირსკი) — 10,5-10,5, ს. მატვეევა (ფრუნზე), ი. ჩიოლუშკინა (ლვოვი) — 9,5-9,5; ტ. სტეპოვაია (კრასნოდარი), ს. ფურინა (ლენინგრადი) — 9-9; ვ. ბორულია (ლვოვი), ი. უმანსკაია (მოსკოვი) — 8,5-8,5; ს. პრუდნიკოვა (მოსკოვი) — 8, ლ. სემიონოვა (კიევი) — 7,5; ლ. ტაჯიევა (ჩიმკენტი), მ. ციგანოვა (ტალინი) — 7-7; ა. ბორსუკი (ხერსონი) — 5; ტ. პუდკოვა (ფრუნზე) — 4,5; ნ. ჯანჯღავა (თბილისი) —3.

„ამ მჭიდრდება პროფესიონალებთ!“

გივი ჩიქვანაია:

საზეიმო ინტერვიუ არ გამოგვივიდა. არადა, საამისო მიზეზი თითქოს გვქონდა — თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდმა ახლახან სოხუმში ამ სპორტული საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თასი მოიპოვა. მაგრამ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გივი ჩიქვანაიამ არ მიიღო მილოცვები — არ ღირს გამარჯვების მნიშვნელობის გაზვიადებაო. წყალბურთელები ხომ ამ ბოლო ხანებში ასე იშვიათად გვახარებენ. — რატომ? რა ხდება გუნდში? როგორია პერსპექტივები? სეზონამდის პირველ რიცხვებში თბილისში ქვეყნის ჩემპიონატის ტური ჩატარდება, როგორ მოემზადნენ მასთვის თბილისელები?

ამ და სხვა წყალბურთის გულშემატკივრებისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემა თბილისის „დინამოს“ უფროს მწვრთნელს გივი ჩიქვანაიას ვთხოვეთ.

— სოხუმში, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშებაზე, — გვიამბო ბატონმა გივიმ, — ჩვენი მეტოქეები, ტრადიციულად, ძლიერი გუნდები იყვნენ — მაგალითად, მოსკოვის, ალმა-ათის, კიევის, ლვოვის დინამოელები. რა თქმა უნდა, მათთან გამარჯვება ყოველთვის საამაყოა, მაგრამ მე უფრო იმითა ვარ კმაყოფილი, რომ სპორტსმენებმა ბოლოს და ბოლოს აჩვენეს სათამაშო დისციპლინა და მობილიზებულობა.

● თქვენ ბრძანეთ „ბოლოს და ბოლოსო“?

— დიახ, მას შემდეგ, რაც მე გუნდში მოვედი, პირველი, რასაც ხელი მოვკიდე და რისთვისაც დავიწყე ბრძოლა, დისციპლინა იყო. უნდა გამოგიტყდეთ, ეს ბრძოლა ჯერაც არ არის მოგებული. აი, ის მოქმედებათა შეთანხმებულობა, სოხუმში რომ აჩვენეს ჩვენმა წყალბურთელებმა, იმის ორმოცი პროცენტია, რაც მოეთხოვებათ. მე ჯერ არ მომუშავია ისეთ გუნდთან, ასეთი „ჭრელი“ შემადგენლობისა რომ ყოფილიყო. ვიღაცას უნდა ვარჯიში, ვიღაც კი იმის ცდაშია, როგორმე დატვირთვა შეიმსუბუქოს. იძულებული ვარ, ყველასთვის ინდივიდუალური მიდგომა ვეძებო და, ჯერჯერობით, ვერ ვახერხებ.

● ბატონო გივი, მადლობას გიხდით გულახდილობისთვის. იშვიათად თუ გამიგონია, რომ მწვრთნელები რაღაცაში საკუთარ თავს ადანაშაულებდნენ. როგორც წესი, ყველაფერს სპორტსმენებს გადააბრალებენ ხოლმე...

— ეტყობა, იმიტომ მიჭირს თითოეულ მოთამაშესთან კონტაქტის დამყარება, რომ აქ ჩემი მოწაფეები არ არიან. მოგეხსენებათ, მე სულ მესამე წელია, რაც მოსკოვიდან თბილისში დავბრუნდი და, იმ გუნდს მოვკიდე ხელი, რომელიც დამხვდა. ძალიან გამიჭირდა —ის ბირთვი, რომლის იმედიც მქონდა, მოულოდნელად დაიშალა. თბილისის „დინამოდან“ წავიდნენ გვახარია, ზუმბულიძე, ბაღათურია, მეკარ-

იხ. მე-4 გვ.

მედლებს თუ დავითვლით

სპლიტი. მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატის მეხუთე დღეს რვა ოქროს მედლიდან საბჭოთა სპორტსმენებმა ხუთი დაისაკუთრეს. კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ: 400 მ თარჯრბენში — ტატიანა ლედოვსკაია — 53,62, 50 კმ სპორტულ სიარულში — ანდრეი პერლოვი — 3:54.36, უროს ტყორცნაში — იგორ ასტაპკოვიჩი — 84, 14 მ სამხტომში — ლეონიდ ვოლოშინი — 17,75 მ. და 10 კმ რბენაში — ელენა რომანოვა — 31. 46,83.

სამი სხვა უმაღლესი ჯილდო ერგოთ: სიმაღლეზე ხტომაში — ჰაიკე ჰენფელს (გფრ) — 199 სმ, შვიდჭიდში — საბინე ბრაუნს (გფრ) — 6688 ქულა, 110 მეტრზე თარჯრბენში — კოლინ ჯეკსონს (ინგლისი) 13,18.

ბოლო, მეექვსე დღის წინ ყველაზე ბევრი ოქროს მედლები მოიპოვეს: ინგლისმა და გდრ-მ — 8-8 უმაღლესი ჯილდო თითოეულს და სსრ კავშირმა — 6. გდრ წინაა მედლების საერთო რაოდენობითაც — 28. მომდევნო ადგილებზე არიან სსრ კავშირი — 20 და ინგლისი — 13.

სპორტულ ჟურნალისტთა საუურადღებოდ!

დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, საქართველოს სპორტსმენებმა საამაყო წარმატებებს მიაღწიეს ამ კომპლექსურ სპორტულ ასპარეზობაში.

რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია სამშაბათს, 4 სექტემბერს, 15 საათზე ჟურნალისტთა კავშირის „მრგვალი მაგიდის“ დარბაზში (კოსტავას, 14) ატარებს პრეს-კონფერენციას. შეჯამდება სპარტაკიადის შედეგები. პრესკონფერენციაზე მოწვეულნი არიან საქართველოს განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელი მუშაკები.

წარმატების აღმართს მეუყვნენ...

ფინეთიდან შინ დაბრუნდა საქართველოს კლასიკური სტილით ჭიდაობეთა ნაკრები, რომელიც ამ ქვეყნის ქალაქ იმატრაში გამართულ ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობდა. ჩვენი ფალავნები იქ დარწმუნებულად გამოვიდნენ — ოქროს მედლების საერთო რაოდენობის ნახევარი წამოიყოლეს სამშობლოში. ტურნირის მიმდინარეობის შესახებ გვეხუბრება გუნდის უფროსი მწვრთნელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიხეილ სალაძე.

— იმატრაში, ჩვეულებრივ, საბჭოთა კავშირის ნაკრები მიეგზავნება ხოლმე, ამჯერად კი იქ გამოვლის უფლება ჩვენ, საქართველოს ჭიდაკაცებს, დაგვითმეს, ალბათ, ბოლო საკავშირო ჩემპიონატზე მიღწეული წარმატების გამო, მართალია, იმატრაში მიწვეული იყვნენ ესტონეთისა და ბელორუსიის გუნდებიც, მაგრამ მასპინძლებმა, რაკიღა ჩვენ შევცვალეთ საბჭოთა კავშირის ნაკრები, განაცხადეს ამ გუნდის სახელით შეგვიტანეს. ამიტომ მოგვიხდა იმის ახსნა, თუ ვინ ვიყვანით და შემდეგ გვაცხადებდნენ, როგორც საქართველოს წარმომადგენლებს.

ტურნირის სიძლიერეში მინდა დაგარწმუნოთ: ჯერ ერთი, სკანდინავიის ქვეყნებში (შეჯიბრებაში გამოდიოდნენ შვეცია, აგრეთვე, ფინეთის ორი გუნდი), ტრადიციულად, პოპულარულია კლასიკური ჭიდაობა. თან უკვე ჩამოთვლილთა გარდა მონაწილეთა შორის იყვნენ, აგრეთვე, რუმინეთის, ირანის, ნორვეგიის, დანიისა და ჩეხეთ-სლოვაკიის ნაკრებები.

ჩვენ კი ათის ნაცვლად რვა მოჭიდავე ჩავიყვანეთ ფინეთში და 5 ოქროს მედალი ავიღეთ. სათითაოდ ჩამოგითვლით გამარჯვებულებს, რომლებმაც მართლაც მოაწონეს თავი ფინელ მაყურებლებს. სხვათა შორის, საღამოს საჭიდაო დარბაზი სულ ივსებოდა.

48 კილოგრამ წონაში გაიმარჯვა თბილისელმა გელა პაპაშვილმა, შემდეგ მარტყოფელი კობა გულიაშვილი გახდა ჩემპიონი 62 კილოგრამ წონით „ატეგორიაში. დანარჩენი „ოქრო“ კი თბილისელების — ზაურ ივანიშვილის (100 კგ), ბეგი დარჩიას (82 კგ) და ქუთაისელ გიორგი კოღუაშვილის (90 კგ) წილად მოდის.



მიხეილ სალაძე.

82 კილოგრამ წონაში ფინეთის გუნდში იყო მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ტაიმო ნიემი. უნდა გენახათ, რა პრიზები გაამზადეს მასპინძლებმა ამ წონაში გამარჯვებული მოჭიდავისათვის, ყველას ზედ, საგანგებოდ, „82“ ეწერა. ის ჯილდოები კი სულ დარჩიამ „დახვეტა“ და წამოიღო. ალალად ეკუთვნოდა სუყველა — მასპინძელთა საყვარელ ფალავანს ისე მოერია, გეგონებოდა, ბავშვს ეჭიდავაო. ისე, მაყურებელს არ უნდა დაუკარგო — ბეგის გამარჯვება სათანადოდ შეაფასა.

გურამ გედეხაური სულ 103 კილოგრამს იწონის, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორთა თხოვნით, მძიმე წონაში გამოვიდა. მასპინძელთა აზრი გასაგები იყო, უნდოდათ გურამი სეულის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსნის, შვედი ტომას ჰანსონისათვის დაეჭიდებინათ. ფინალში მართლაც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს.. შემდეგ ინტერვიუში მთხოვეს შთაბეჭდილება გამომეთქვა ამ შერკინების შესახებ. ვუთხარი, ჰანსონი ჯერ კიდევ შუა ჭიდაობაში იმსახურებდა მოხსნას-მეთქი, 128 კილოგრამი წონის შვედმა შეხვედრის დასაწყისში როგორღაც ქულა აიღო და მერე სულ ხალიჩიდან გაქცევაზე ეჭირა თვალი. ასე რომ, გედეხაურმა მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა.

ვერცხლის მედალი მიიღო აგრეთვე ბათუმელმა ჯემალ ბაკურაძემ, რომელმაც ერთადერთი შეხვედრა წააგო, ისიც ბეგი დარჩიასთან ერთი ქულის სხვაობით. ნაიბი დვალიძე კი მეოთხე ადგილზე გავიდა 100 კილოგრამ წონაში.

ცალკე მინდა გითხრათ ჩინეულ მასპინძლობაზე. ქალაქის მერმა მიღებაც გაგვმართა, ამასთან ფინეთის ნაკრები ამჟამად მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება და მათი თხოვნით რამდენჯერმე გავმართეთ ერთობლივი საწვრთნელი ვარჯიში.

— ძალიან კარგი, პერსპექტიული გუნდი გყავთ და მას თვით მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატზეც შეუძლია ჰქონდეს დიდი პრეტენზიები, თუკი, რა თქმა უნდა, ცალკე გუნდად მოახერხებთ ასპარეზობას, — გვითხრა ტურნირის დამთავრების შემდეგ წარსულში სახელოვანმა ესტონელმა მოჭიდავემ ნიგლასმა.

ჩაიწერა ბ. ბორბი პავლიაშვილმა

ჩვენ კი ცალკე დავადასტურებთ ნიგლასის ნათქვამს: ბოლო ხანს საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეები მართლაც წარმატების აღმართს შეუყვნენ.



დავფიქრდეთ, ვიმოქმედოთ, ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!

სტრიქონები რედაქციაში შემოსული წერილებიდან

დაინტერესდით რას საქმიანობენ ხახლმმართველობის ფიზკულტურის მეთოდისტები. არ ვიცი, თავად ეს სწორთ თუ არა მეთოდისტებს, მაგრამ ფაქტია, მათ ყველგან არამიზნობრივად იყენებენ.

ვ. ლოგჟანიძე,
ყოფილი ფიზკულტურული მუშაკი.
თბილისი

თქვენ ადრე წერდით მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის ინტერესებისადმი კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დამოკიდებულებაზე. კრიტიკას მოჰყვა დადგენილება. ადექით ახლა და ჩაიხედეთ იმ დოკუმენტში, ნახეთ რა შესრულდა და რა არა. ჩემი აზრით, საქმე არ გამოსწორებულა. როგორც ამბობენ, სამინისტროს განაწყენებულმა მუშაკებმა საერთოდ აიღეს ხელი მოსახლეობის ინტერესებისთვის ზრუნვაზე.

ლ. მაზმიშვილი
თბილისი

ვთხოვთ საორგანიზაციო კომიტეტს სოფლის ინტერესებიც გაითვალისწინოთ ახალი ასოციაციის წესდებაში. პრობლემები, მართალია ბევრი იქნება, მაგრამ განა იმაზე უარესად შეიძლება საქმე წავიდეს, ვიდრე ეს დღესაა. თუ საქმეს ერთი პატრონი ეყოლება, ხნინს გზაც გამოჩნდება.

ე. ლაბაძე
ხაშური

მივესალმებით ასოციაციის შექმნის იდეას. ახლა მთავარია, დავძლიოთ უწყებრივი ამბიციები. პრეტენზიები ალბათ ბევრს გაუჩნდება, მაგრამ ყველამ უნდა დავიხსომოთ მთავარი: ადამიანებს ფიზკულტურასთან დამეგობრებაში ხელი უნდა შევუწყოთ და ამის ყველაზე კარგი საშუალება არის საცხოვრებელი ადგილი.

მ. კირვალიძე
რუსთავი

კარბი ჩანაფიქრია: ყველა. მატერიალურმა სახსრებმა თავი უნდა მოიყაროს გამაჯანსაღებელ კლუბებში, რომლებიც შეიქმნება საცხოვრებელ ადგილებში. ტერიტორიულ სპორტულ ბაზებსაც ეს კლუბები მოემსახურებიან.

ე. კენჭოშვილი
თბილისი





არავინ გაგვიმართა ხელი...

თქვენი გაზეთი ხშირად წერს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სპორტული მოედნების არაზელსაყრელი მდგომარეობის შესახებ. ჩვენც — თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქ. 147 ა-149 კორპუსების მცხოვრებლებმა, გადავწყვიტეთ, მოგვემართა თქვენთვის.

ჩვენი სპორტული მოედანი „უშბა“ აშენდა, ასე, 10-12 წლის წინათ და ამ ხნის განმავლობაში კაპიტალურად არ შეკეთებულა (ისევ ჩვენი გარჯითა და სახსრებით სულდგმულობს ,ამამდე). ჩვენი ბინები ფაბრიკა „ისანმა“ ააშენა. იგი კოოპერატიულია და ჩვენც, თავისთავად, არ ვეკუთვნით სახლმმართველობას. თავმჯდომარე კი გვყავს, მაგრამ რად გინდა, რამდენიმეჯერ მივაკითხეთ და „შეფებს მიმართეთო“, — ამ პასუხით გამოგვისტუმრა. ჩვენც ფაბრიკა „ისნის“ ხელმძღვანელობას მივაშურეთ, მაგრამ იქაც უარი მივიღეთ — ჩვენ არ გვეკუთვნით და ვერ გავაკეთებთო. არც ქაღალდის ფაბრიკამ გაგვიმართა ხელი.

ამ დავიდარაბის შემდეგ ორმა მუშამ ერთი-ორი მავოული მიადუღა ერთმანეთს და წავიდა, ვითომ ამით ეშველა საქმეს. არადა, ჩვენი სპორტული მოედანი მდებარეობს მტკვართან ახლოს, ბურთი მოედნიდან პირდაპირ მდინარეში ვარდება, ბავშვები მდინარისკენ მირბიან და ამას კი შეიძლება დიდი უბედურება მოჰყვეს. ამაზე არავინ ფიქრობს.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, პატივცემულო რედაქცია, იმედი გვაქვს დაგვეხმარებით.

ა. ჩოხელი, ბ. კაკუტია, ე. ჯოხაძე, ბ. კაკუტია, კ. ჯავრიშვილი და სხვები, სულ 16 ხელმოწერა.

ნუ მოგვიშლიან ძველ გუდს

ჩვენი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი „ძველი ვერელები“ 40 წელიწადია, რაც არსებობს. ყოველ დილას ვვარჯიშობდით პეტრიაშვილის ქუჩაზე, №7 სახლის ეზოში, მაგრამ, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენი ეზო რეკონსტრუქციის მსხვერპლი გახდა.

სხვა გზა არ იყო, სტუდქალაქში „გადავბარგდით“ და აქ მოასფალტებულ მინიმოედანზე ვაგორებდით ბურთს, 14 წლის მოზარდებიც და 60 წელს გადაცილებული ჭარმაგი კაცებიც. **ახლა იმ ადგილსაც გვართმევენ.** აქ ჯერ განათლების სამინისტროს სურდა დიდი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის აშენება (ტერიტორია აძლევა ამის საშუალებას), ახლა კი გვითხრეს, რომ სხვები იბრძვიან იმ ადგილისთვის, რათა საცხოვრებელი ბინები აიშენონ. ნელ-ნელა უკვე ძარცვავენ მოედანს, ჯერჯერობით ძელები მოხსნეს.

ამდენი წელიწადია, არავინ შეგვიწუხებია, თუმცა ფორმალურად ორ ორგანიზაციას ვეკუთვნოდით — სახლმმართველობას და 26 მაისის სახელობის სტადიონზე არსებულ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსს. ახლა გვინდა ბადით შემოვღობოთ ჩვენი „სტადიონი“, რათა იგრძნონ, რომ ვიღაცას სჭირდება და მას პატრონი ჰყავს.

„ძველი ვერელების“ სახელით
კარლო ადეიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის ალმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

სიბრძნე სიცრუეზე და თვალში ნაცრად

1984 წლის 21 იანვარს გამართული პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრების მასალებიდან:

„რესპუბლიკის სახმშენმა დიდი საცხოვრებელი მასივების დაპროექტებისას აუცილებლად გაითვალისწინოს სპორტული მოედნები, ჩოგბურთის კორტები და უმარტივესი ტიპის სხვა სპორტული ნაგებობანი“.

„თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თბილისის ზღვისა და კუს ტბის ნაპირებზე დაარჩაროს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ელ ი კომპლექსის მშენებლობა“.

„რესპუბლიკის მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ განახორციელოს სასკოლო სპორტული ინვენტარის ფართო გამოშვება“.

„საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ განიხილოს უნაღდო ანგარიშსწორებით სპორტსაქონლის რეალიზაციის მოცულობის გადიდების საკითხი“.

„ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობაზე რესპუბლიკის მშრომელთა მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების ღონისძიებათა განსაზღვრასთან ერთად, არანაკლებ საჭიროა კარგად მოვიფიქროთ ჩვენი მოსახლეობის ყველა კატეგორიის შესაბამისი მოთხოვნილებების განვითარების ეფექტიანი გზები“.

„იმისათვის, რომ მივაღწიოთ მოსახლეობის ყველა ფენაში ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის ნამდვილ მასობრიობას, მთავარია გავაუმჯობესოთ მუშაობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.

„თითოეულ რაიონში შეიქმნას კულტურულ-სპორტული კომპლექსები, რომლებიც მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, დაექვემდებარებიან ადგილობრივ საბჭოებს“.

რა შესრულდა და რა არა, მკითხველმა თავად განსაჯოს.

ცურვა მეორე სიცოცხლეა

გიწვევთ დიღმის მასივში

დიდუბის რაიონის სახკოლათაშორისო საცურაო აუზი, რომელიც დიღმის მასივში მდებარეობს, წელს მერვედ გაუხსნის კარს ნორჩებს. აუზი მომზადებული შეხვდა ახალ სახწავლო წელს. ბაზა უფრო კეთილმოწყობილი გახდა და, რაც მთავარია, უზრუნველყოფილია წყლის სისუფთავის შენარჩუნება.

აუზზე დაიწყო 6-11 წლის მოზარდების მიღება ცურვის შემსწავლელ და გამაჯანსაღებელ საბავშვო-ტო ჯგუფებში. მხურველებს შეუძლიათ მიაკითხონ აუზის დირექციას (147-ე სკოლასთან ახლოს) 18-დან 20 საათამდე. მეცადინეობის დღეებს და საათებს მოსწავლეთა მშობლები თავად აირჩევენ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 51-95-93.

როდის დამთავრდება?

ჭალა... სამოიდე წლის წინათ აქ მიტაცებული მიწების პატარ-პატარა ნაკვეთებზე მავანთა ბაღჩა-ბოსტნები იყო. გორის გაზრდა-განაშენიანების შემდეგ მათ ადგილზე ათობით მაღლივი სახლი წამოიმართა.

ქალაქის ამ ახალ საცხოვრებელ კვარტალში ამოქმედდა ტრანსპორტი, გაიხსნა საკვები და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. ბუნებრივია, აუცილებელი გახდა მათ გვერდით სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების არსებობაც. ამ საკითხის მოგვარებით დაინტერესდა ქალაქის საბჭოს აღმასკომი. გამოიყო 0,7 ჰექტარი მიწა, შედგა პროექტი და გასული წლის მესამე კვარტალში, ფაქტობრივად, დაიწყო 900 კვადრატული მეტრი ფართობის დახურული სპორტული დარბაზის მშენებლობა.

პირველ ხანებში მშენებლები აქტიურობდნენ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ დარბაზი მალე ჩადგებოდა ახალგაზრდობის სამსახურში, მაგრამ, მერე და მერე ტემპი საგრძნობლად შენელდა. მიზეზი? — 'თბილისიდან ლითონკონსტრუქციების შეფერხებით მოწოდება.

მიმდინარე წელიც ცუდად დაიწყო. აგერ უკვე რვა თვე გავიდა, და საქმის ნახევარიც არ გაკეთებულა. უკვე შესრულებული სამუშაოების ხარისხითაც ვერ დაიკვეხნიან. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ სახურავზე „დაკრული“ თუნუქის ფურცლები ქარმა მიყარმოყარა; ალაგ-ალაგ უვარგისი გამოდგა ლითონის მასალების საყრდენ ფუძედ შედგმული ბეტონი, რომელიც მოანგრიეს კიდეც.

როგორც აღვნიშნეთ, სამუშაოები ნელ ტემპში, დიდი ინტერვალებით მიმდინარეობს და ისიც ორი ან სამი მუშის „მონაწილეობით“. როცა ობიექტი მოვინახულე, იქ არავინ დამხვდა. კითხვა-კითხვით ვიპოვე დარაჯი. ოთხი-ხუთი დღეა არავინ მოსულაო — მითხრა. როცა ვკითხე, აქაურობას უყურადღებოდ რატომ ტოვებთ-მეთქი, წელიწადზე მეტია აქ ვმუშაობ და სამი თვის ხელფასის მეტი არ. მოუციათო — მიპასუხა. მასთან საუბარში ისიც გაირკვა, რომ ამ მშენებარე დარბაზის ზოგიერთი მეზობელი ხელმრუდობასაც არ თაკილობს.

როცა მიწაზე მიმოყრილი ლითონის სამაგრები და სხვა სამშენებლო „წვრილმან-მსხვილმანი“ ვნახე, სიმართლე გითხრათ, გული დამეწვა....

აი, ასეთ დღეშია ჭალის დახურული სპორტდარბაზის „მშენებლობა“, რომელსაც გამკითხავი არ ჰყავს.

ილია თევდორაშვილი.
„ლელოს“ კორ.
გორი.

„თავად განსაჯეთ რა დღეში ვართ და რა მოგველის!“ — ამ ხიტყვებით მთავრდებოდა გასული კვირის ნომერში გამოქვეყნებული მასალები. მკითხველმა დასმულ კითხვას ამ ნახატით უპასუხა.

ᲐᲘ ᲠᲐ ᲓᲦᲔᲔᲨᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲐᲘ ᲠᲐ ᲛᲝᲛᲖᲕᲔᲚᲘᲡ

ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲗ ᲗᲝᲕᲖᲔᲠᲐᲫᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
პირველი ჯგუფი

გუშინ გაიმართა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის XXIII ტურის შეხვედრები:

„იბერია“ (თბილისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 4:2

„ბათუმი“ (ბათუმი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 1:1

„გურია“ (ლანჩხუთი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:0

„ხანავარდი“ (სამტრედია) — „ცხუმი“ (სოხუმი) 0:0

„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 0:1

ექვსიდან რომელი?

სექტემბერში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ტოკიოს 96-ე სესიაზე გადაწყდება ექვსი პრეტენდენტი ქალაქიდან რომელი გახდება თამაშების მასპინძელი. ხ. ა. სამარანჩის სიტყვებით თითოეული ოლიმპიური პრეტენდენტი „თავისებურად დასაფასებელია და განუმეორებელი“. და მაინც, რომელი ქალაქი მონაწილეობს საიუბილეო ოლიმპიადის მასპინძლობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში?

პირველ კანდიდატად ათენს ასახელებენ. საბერძნეთის დედაქალაქს უდავოდ აქვს უპირატესობა სხვა კანდიდატ ქალაქებთან შედარებით. 1896 წელს ელადის მიწაზე ჩატარდა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები და ახლა ბერძნები 1996 წლის საიუბილეო თამაშების მასპინძლობაზე ოცნებობენ.

სამი კონტინენტის გზაჯვარედინზე მდებარე საბერძნეთის დედაქალაქი ტრადიციულად დიდ საჰაერო და საზღვაო პორტად ითვლება. ასე რომ, სპეციალისტების აზრით სპორტული დელეგაციების მიღებასა და გასტუმრებაში არავითარი პრობლემა არ შეიქმნება.

ოლიმპიური ნაგებობები პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველს მიეკუთვნება ოლიმპიური სოფელი, რომელიც საბერძნეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ახალ რაიონში აიგება ფრიად ორიგინალური პროექტით. მეორე, ეს არის სპორტული კომპლექსი, რომელიც შედგება უკვე მოქმედი სტადიონებისაგან, ველოტრეკისაგან, აუზისაგან, მრავალპროფილიანი ორი დახურული დარბაზისა და საჩოგბურთო კორტებისაგან. კომპლექსს ესაზღვრება პრესცენტრი, ტელეცენტრი და სასტუმროები. სპორტული კომპლექსი საგრძნობლად „გაახალდება“ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების 1991 წლის თამაშებისათვის. მესამე, ეს არის ათენის ისტორიული ცენტრი, რომელიც კულტურული ღონისძიებების ჩატარების ადგილი იქნება.

არცთუ დიდი ხნის წინათ ათენის გამარჯვება ცოტას თუ აეკვედა, თუმცა ბოლო ხანს საბერძნეთის დედაქალაქის აქციები ერთგვარად დაეცა. ამისი მიზეზია ფინანსური სიძნელეები და ქალაქის ეკოლოგიური ვითარება..

სოკ-ის წევრის რობერტ ჰელმიკის აზრით, ამერიკის ქალაქ ატლანტის კანდიდატურა „შესანიშნავია ყველა მთავარი ისპექტის მიხედვით“, აი როგორ აფასებს იგი ამერიკული ქალაქის შანსს: „ატლანტამ ბევრჯერ უმასპინძლა სხვადასხვა სპორტულ ტურნირს. ქალაქს ოლიმპიადის ჩატარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა გააჩნია, ამასთან, დიდი იმედი აქვს მოსახლეობის ენთუზიაზმისა და მხარდაჭერისა“.

და მართლაც, 1996 წლისთვის ჯორჯიას შტატის დედაქალაქში უნიკალური სპორტული ობიექტები იქნება. აღსანიშნავია თუნდაც ამჟამად მშენებარე არქიტექტურულად განუმეორებელი 72 ათასადგილიანი გიგანტური სპორტული დარბაზი „ჯორჯია დოუში“, რომელშიც საფეხბურთო მოედანი იქნება. რამდენიმე წუთში ეს არენა ბეგრაგაუმტარი ტიხარით ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს და იქ თავისუფლად ჩატარდება შეჯიბრებები კალათბურთში, ტანვარჯიშში, კრივში, ხელბურთში...

ატლანტას სხვა ქალაქებთან შედარებით ორი მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია: სამგზავრო ტრანსპორტის ჩინებულად ორგანიზებული სისტემა და სტუმართა დაბინავების უდიდესი შესაძლებლობა.

მომავალი თამაშების ობიექტებიდან აღსანიშნავია ოლიმპიური წრე და ოლიმპიური პარკი. პირველი განლაგებულია ქალაქის ცენტრში და მოიცავს სტადიონს, სასტუმროს, ოლიმპიურ სოფელს, პრესცენტრს. მეორე კი წარმოადგენს საპარკო მასივს, სადაც ღია სპორტულ მოედნებზე ჩატარდება შეჯიბრებები ტყვიის სროლაში, მშვილდოსნობაში, ცხენოსნობასა და ველოსპორტში. მოშორებით. თვალწარმტაცი ტბაზე ერთმანეთს შეეჯიბრებიან ნიჩბოსნები და აფროსნები.

პრეტენდენტებს შორისაა იუგოსლავიის დედაქალაქი ბელგრადი. შარშან ქალაქმა არსებობის 1111-ე წლისთავი აღნიშნა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ორი წლის შემდეგ ბელგრადი მთლიანად მზად იქნება ოლიმპიური თამაშების მისაღებად. ჯერჯერობით ასაგებია ველოტრეკი და სასროლეთი. დანარჩენ არენებს უკვე დღეს შეუძლიათ თამაშების მასპინძლობა: ესენია სტადიონი „ცრვენა ზვეზდა“, რომელზეც განზრახულია თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალის მოწყობა, საფეხბურთო მატჩების, მძლეოსნობის ტურნირის ჩატარება. დუნაის ნაპირზე მდებარე დიდებული სპორტული ცენტრი „25 მაისი“. ასევე კრივის, ძიუდოსა და ფარიკაობის შეჯიბრებებისათვის განკუთვნილი დარბაზების კომპლექსი. სამოცდაათიათასადგილიან სტადიონ „ინაზე“ ჩატარდება საფეხბურთო და ბალახის ჰოკეისტთა მატჩები, საჩოგბურთო ტურნირი. ქალაქის ცენტრიდან ცხრა კილომეტრით იქნება დაცილებული ოლიმპიური სოფელი.

აღსანიშნავია, რომ ბელგრადის ყველა სპორტული ობიექტი ერთმანეთისგან მცირე მანძილითაა დაცილებული, რის გამოც სატრანსპორტო პრობლემა მთლიანად გადაჭრილია. იუგოსლავიის დედაქალაქი ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინათ აცხადებდა პრეტენზიას ოლიმპიადის ჩატარებაზე. მაშინ არაფერი გამოვიდა: ბელგრადელები იმედოვნებდნენ, რომ ამჯერად მაინც გაუღიმებთ ბედი.

„მანჩესტერი ინდუსტრიული ქალაქია, რომელიც გამუდმეებით იცვლის იერს, მისი მკვიდრნი დიდი ენთუზიასტები არიან და საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებენ თავიანთი ქალაქის „კანდიდატურას“, — ასე ამბობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, დიდი ბრიტანეთის პრინცესა ანა.

დიდი ბრიტანეთის სიდიდით მეორე ქალაქი მანჩესტერი ორი ათასი წლის წინათ დააარსეს ძველმა რომაელებმა, გახდა რა მეთვრამეტე საუკუნეში ინდუსტრიული რევოლუციის ცენტრი, დღემდე ინარჩუნებს ბრიტანეთის კუნძულების ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო ცენტრის სახელს.

სწორედ ეკონომიკურ სიძლიერეს ეყრდნობოდა მანჩესტერის „ოლიმპიადა-96-ის“. მასპინძლად წამოყენების კამპანია. აქაურმა მცხოვრებლებმა ქვეყნის მთავრობას დაბეჯითებით მოსთხოვა ბიუჯეტიდან მილიარდი გირვანქა სტერლინგის გამოყოფა ძველი სპორტული კომპლექსების რეკონსტრუქციისა და ახლების ასაგებად.

მანჩესტერიდან ორი საათის საავალზე მდებარე აფროსნობის ცენტრის გარდა, ყველა ოლიმპიური ობიექტი ქალაქში ან გარეუბანში აიგება. ისინი თამაშების „გულის“ ირგვლივ ერთგვარ თანამგზავრებად განლაგდებიან, სადაც მოთავსდება ოლიმპიური ფორუმი სტადიონით, სპორტული დარბაზები, აუზი, ოლიმპიური სოფელი, პრესის წარმომადგენელთა სახლები.

სპეციალისტები არცთუ მაღალ შეფასებას აძლევენ მანჩესტერის შანსებს. ამისი მიზეზია აფრიკული ქვეყნების ნეგატიური დამოკიდებულება კონსერვატორთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის მიმართ. როგორც ამბობენ, ოლიმპიადის დედაქალაქის დასახელების დროს ერთა თანამეგობრობის ქვეყნების წარმომადგენლები მანჩესტერის კანდიდატურის წინააღმდეგები იქნებიან. ეს კი ამ ქალაქის შანსებს ნულამდე დაიყვანს.

მელბურნის მცხოვრებთა აზრით, ავსტრალიის ამ ქალაქის მთავარი კოზირია ოლიმპიადის ჩატარების გამოცდილება. ავსტრალიაში სურთ ფართოდ აღნიშნონ 1956 წელს მელბურნში წარმატებით ჩატარებული თამაშების ორმოცი წლისთავი.

102 ათასადგილიან მთავარ სტადიონზე საზეიმო ცერემონიების გარდა შეიძლება ჩატარდეს საფეხბურთო მატჩები, შეჯიბრებები მძლეოსნობაში. მისგან სამასი მეტრით არის დაცილებული მელბურნის სიამაყე — მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე 15 ათასადგილიანი საჩოგბურთო ცენტრი.

ამ და სხვა არსებულ ობიექტებთან ერთად განზრახულია ახლების აგება. მაგალითად, აპირებენ სპორტული კომპლექსის „ალბერტ პარკის“ აშენებას, სადაც იქნება სხვადასხვა სახეობისათვის განკუთვნილი ექვსი არენა, ველოტრეკი, პრესცენტრი.

„მელბურნის კანდიდატურის მთავარი მხარის დამჭერი ქალაქის მოსახლეობაა, — ამბობს ბიზნესმენი ჯონ რალფი. — ადამიანები ერთმა საერთო მიზანმა გააერთიანა...“ ეს კი, მისი აზრით, საგრძნობლად ასწევს მელბურნის აქციებს ტოკიოში გამართული სოკ-ის სესიაზე.

„თუ ოლიმპიზმი სპორტისა და კულტურის შერწყმაა, მაშინ ტორონტო იდეალურად ესადაგება ამ გამოთქმას“ , —ასეთია სოკ-ის წევრის, კანადელი რიჩარდ პაუნდის აზრი.

ოთხმილიონიან ტორონტოს „ფესტივალების ქალაქს“ უწოდებენ, ამასთან, იგი სპორტული ქალაქიც გახლავთ. აქ არის დახურული სტადიონი „მეიფლ ლივ გარდენი“, რომელზეც მატჩებს ატარებს ნჰლ-ის ლიგაში მოთამაშე ადგილობრივი ჰოკეისტთა კლუბი. ცხადია, ამ სტადიონზე თავისუფლად შეიძლება ოლიმპიადა-96 პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებების ჩატარება. ხოლო ონტარიოს ტბის ნაპირზეა არქიტექტურული თვალსაზრისით განუმეორებელი უზარმაზარი, გასახსნელსახურავიანი სპორტული დარბაზი „სკაიდოუმი“, სადაც ბეისბოლისა და ფეხბურთის მატჩები ტარდება. ის, რომ სპორტული თვალსაზრისით ტორონტო მაღალგანვითარებული ქალაქია, მტკიცდება თუნდაც ასეთი ფაქტით: 1980, 1984 და 1988 წლების კანადის ოლიმპიური ნაკრებების წევრთა თითქმის ნახევარი ამ ქალაქის მკვიდრნი გახლდნენ.

მოამზადა ბელა ჯიღაურმა



მომავალი ჩვენია!

საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებას, მის ხვალინდელ დღეს იმედით შეჰყურებს ჩვენი საზოგადოებრიობა. არავინ კარგავს იმის რწმენას, რომ დღეს თუ არა ხვალ, ჩვენ მივაღწევთ ევროპაშორისო ალიარებას, ფიფა და უეფა თავად გახსნის სხვადასხვა ქვეყნებში თავიანთ მიერ დაგზავნილ საინსტრუქციო წერილებით ჩაკეტილ გზას. მაშინ კი, როცა, როგორც იტყვიან, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, დიდი გარჯა დაგვჭირდება, რათა ქართული ფეხბურთი ღირსეულად წარვუდგინოთ მსოფლიოს. მეოცნებე მკითხველები აქ-დანვე გვთავაზობენ კონკრეტულ მოსაზრებას. ერთ მათგანს დღეს ვაქვეყნებთ.

ჩემი აზრით, აუცილებელი იქნება თბილისში ჩატარდეს ეროვნული ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. დღესასწაულზე უნდა მოვიწვიოთ ფიფა-ს და უეფა-ს ხელმძღვანელები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციების წარმომადგენლები. ამ საქმეში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ცნობილი ფეხბურთელების, მათ შორის ვეტერანების პირადი კონტაქტები უცხოელ მეგობრებთან. რეალობად მესახება შედგეს ქართველ და მოწვეულ ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი, რომელიც ზეიმს დაამშვენებს. ცხადია, მანამდე უნდა მომზადდეს ქართული ფეხბურთის წარსულის ამსახველი ზედვითი და ბეჭდვითი მასალები. ვფიქრობ, საქართველოს ყველა მოქალაქე თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ამ დიდი დღესასწაულის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში.

ზაურ საბინაძე
თბილისი.

ბრაზილიური ფეხბურთის სიახლენი

ნახევარმცველი სანტოს ბისმარკი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს შემორჩა და ახალი შეჯიბრებებისთვის ემზადება. ბრაზილიის გუნდს სულ ახლახან ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს, ესაა წარსულის ცნობილი ოსტატი, რომელიც ფეხბურთის მოყვარულებს ხანსაკუთრებით დაამახსოვრდათ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში — პაულუ ფალკაო. ახალმა მწვრთნელმა 16 აგვისტოს შეცვალა სებასტიან ლაზარონი. ძველ ხელმძღვანელს ბრალი დასდეს ბრაზილიელთა წარუმატებლობაში იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე.

ბრაზილიის ნაკრებს 12 სექტემბერს მეტად საინტერესო და საპასუხისმგებლო შეხვედრა აქვს ესპანეთის გუნდთან, ბრაზილიელთა 18 მოთამაშიდან 14 დებიუტანტია. ნაკრებში დააბრუნეს მცველი ნელინო, ნახევარმცველი ნეტუ და თავდამსხმელი ჩარლზი. პ. ფალკაომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ნაკრების შემადგენლობაში განზრახ არ ჩართო ის ფეხბურთელები, რომლებიც ევროპის კლუბებში გამოდიან. მწვრთნელის ამ გადწყვეტილებას მხარი დაუჭირა ადგილობრივმა პრესამაც, რომლის აზრითაც, „უცხოელებს“ მხოლოდ აღრევა შეჰქონდათ ნაკრების რიგებში ჩემპიონატამდეც და ჩემპიონატის დღეებშიც. ჯერ იყო და, ამ ფეხბურთელთა გამოძახება უცხოეთის კლუბებიდან უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მეორეც, მათ გაუთავებელი დავა ჰქონდათ საპრიზო ფულზე, ჯილდოებზე.

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების უახლოეს გეგმებშია, აგრეთვე, ჩილეს ეროვნულ გუნდთან შეხვედრა და მატჩი მსოფლიოს ნაკრებთან, რომელიც პელეს დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით უნდა გაიმართოს.

ჯობს ჯარიმა, ვიდრე ციხე...

კიევის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი იგორ ბელანოვი, რომელიც ამჟამად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ თამაშობს, დაყაბულდა 24 ათასი მარკა (17 ათასი დოლარი) ჯარიმა გადაიხადოს, ვიდრე სასამართლოს წინაშე წარსდგეს, რომელმაც უნდა განიხილოს მისი მეუღლის მიერ ამ ქალაქის ერთ-ერთ მაღაზიაში აგვისტოში ჩადენილი ქურდობის საქმე.

„ბორუსიის“ მენეჯერმა როლფ რიუსმანმა განაცხადა, რომ კლუბის დირექტორთა საბჭოს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება ი. ბელანოვის თაობაზე, მაგრამ მოსალოდნელია, რომ იგი გუნდში ადგილს დაკარგავს. როგორც ცნობილია, „ბორუსიამ“ ამ ფეხბურთელის საფასურად 1,5 მილიონი მარკა (1 მილიონი დოლარი) გადიხადა. მაგრამ მას ჯერჯერობით თავი არაფრით გამოუჩენია და თავის შესაძლებლობებზე უარესადაც თამაშობდა. ი. ბელანოვს გამოესარჩლა მისი ერთ-ერთი პარტნიორი ნახევარმცველი კრისტიან ხოზშტეტერი, რომელმაც განაცხადა, რომ ბელანოვს ალბათ ხელს უშლიდა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მომავალში იგი შეძლებს უკეთ ითამაშოს.

● **არც ისე** დიდი ხნის წინ, პარაგვაის ნაკრების თავდამსხმელი კაბანიასი კონტინენტის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ ითვლებოდა — თითქმის ყველა მატჩში გოლი გაჰქონდა და წარმატებითაც თამაშობდა კლუბში. სამი წლის განმავლობაში კოლუმბიის „ამერიკა“, სადაც იგი ამამდიოდა, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის ფინალში გადიოდა. შემდეგ იყო მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატი, პრესის მაღალი შეფასებები, ბრწყინვალე მატჩი სამხრეთ ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში, სადაც კაბანიასმა დუეტი შეადგინა დიეგო მარადონასთან და „თავისი“ გოლიც გაიტანა. 1987 წლიდან პარაგვაელი საფრანგეთის „ბრესტში“ თამაშობდა. გუნდი ამჟამად სუსტი იყო, ამიტომ კაბანიასიც ჩრდილში მოექცა. ახლა ხვ „ლიონმა“ შეიძინა. მასთან ერთად გუნდში მოვიდა მარკოკოელი ბუდერბალა.

● **საფრანგეთში** მოთამაშე ბრიტანელთათვის, კრის უოდლის გამოკლებით, გასული ჩემპიონატი უიღბლო აღმოჩნდა. შინ დაბრუნდნენ სტეინი („კაენი“), ჰეიტლი („მონაკო“), ბირნი („ჰავრი“), მაკარტი („ლიონი“), სტეფენი („ნანსი“). ჯერჯერობით გაურკვეველია „მონაკოს“ ნახევარმცველი გლენ ჰოდლის მომავალი.

● **1988 წელს** ბარსელონის „ესპანიოლი“ უეფა-ს თასის ფინალში გავიდა. ერთი წლის შემდეგ კი მან ესპანეთის I ლიგა დატოვა. მოვლენების ასეთი განვითარება, რაღა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებს კლუბის დირექტორატს. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ჯერ კიდევ წინა სეზონში მოიწვიეს გფრ-ს ნაკრების და „კაიზერსლაუტერნის“ ნახევარმცველი ვოლფრამ ვუტკე. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება კიდევ რამდენიმე ცნობილ ოსტატთან. მათ შორის არგენტინელ რამონ დიასთან („მონაკო“), ავსტრიელ ანდრეას ოგრისთან („აუსტრია“) და ესპანელ კარლოსთან („სოშო“, საფრანგეთი). თავის მხრივ, „ესპანიოლმა“ საფრანგეთის „ტულონს“ დაუთმო მიშელ პინედა.

● **ლიეჟის** „სტანდარდი“ ბოლო წლებში ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. ასეთ ვითარებაში გუნდის ხელმძღვანელობა შედარებით იაფად ღირებულ ფეხბურთელებს იწვევს. ისინი კი მრავლად არიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. კლუბის უკანასკნელი შენაძენია უნგრელი ნახევარმცველი — ბოგნარი, რომელიც გასულ წელს საფრანგეთის „ტულონში“ თამაშობდა.

● **საფრანგეთის** „ბორდოს“ ბელგიელი მწვრთნელი რაიმონ გუტალსი, ტრადიციულად, ახალ სეზონში ცვლის თითქმის მთელს შემადგენლობას. კარიერა დაასრულა მეკარე დროპსიმ. დაითხოვეს ნახევარმცველი გენჟინი და გერმანელი მცველი კალცი. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი სხვა კლუბში გადავიდა. შევსება საკმაოდ სოლიდური აღმოჩნდა. შვეიცარიის „სერვეტიდან“ უკვე მესამედ დაუბრუნეს ფარჟონი, შოტლანდიის „დანფერმლაინმა“ დათმო უნგრელი ბომბარდირი კოზმა. ჰოლანდიის „ეინდჰოვენიდან“ წამოვიდნენ ვიმ კიფტი და ჩეხეთ-სლოვაკეთის ნაკრების კაპიტანი იოზეფ ჰოვანეკი. დაბოლოს, ადგილობრივი კლუბებიდან „მოიყვანეს“ დეშამპი („მარსელი“) და ბენ მაბრუკი („რესინგი“).

● **80-იანი** წლების დასაწყისში, როცა დანიელი ჯესპერ ოლსენი ამსტერდამის „აიაქსში“ თამაშობდა, მას ლუგენდარული იოჰან კრუიფის მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში“ ოლსენი თავდაპირველად მაღალ დონეზე თამაშობდა, შემდეგ უკლო და ბოლოს სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. იგივე სურათი განმეორდა საფრანგეთის „ბორდოშიც“. ახლა ოლსენს კიდევ ერთი შანსი მიეცა. იგი თავის გუნდში „ჯენში“ ჩარიცხა შვეიცარიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა დანიელ ჯანდიუპემ. ხელმძღვანელთა აზრით, ოლსენმა უნდა ათამაშოს ბელგიელ დენ ბურისა და ინგლისელ რიქსის დუეტი.

„მე მჭირდება პროფესიონალები!“

(დასასრული)

გიორგაძე. ერთი ხანობა მეკარე არ მყავდა — ტუკვაძეც წავიდა, აზლაღა დავაბრუნეთ დიდი თხოვნის შემდეგ. ვხედავდი, რომ გუნდს ვერ შევადგენდი.

● **რითან დაიწყეთ?**

— ახალგაზრდების — 15-16 წლის ბიჭების შეთვალიერებას შევუდექი. დავუკავშირდით რესპუბლიკის სხვა ქალაქების მწვრთნელებს, შეკვეშენით მწვრთნელთა საბჭო და ერთობლივად. დავიწყეთ ნიჭიერი მოთამაშეების გასინჯვა. გამოვცადეთ ისინი — ჩვეტარეთ გამოცდები ბურჯომის ფლობის ტექნიკაში, ცურვაში, საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ოც ყმაწვილს დაენიშნა სტიპენდია — 168 მანეთი. დიდი ბრძოლა დაგვჭირდა ამისათვის, ბევრს მიაჩნდა, რომ მშობლიური რესპუბლიკის პირველ გუნდში მოხვედრის პერსპექტივა საკმარისი სტიმული იყო. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ, თუ ჩვენ სპორტსმენებისგან სპორტისადმი პროფესიულ ძალისხმევას ვითხოვთ, მათდამი დამოკიდებულებაც პროფესიული უნდა იყოს. როცა 15-16 წლის ბიჭი შინ უფროსის საკადრის ხელფასს მიიტანს, იგი თვითონაც მეტ პატივს სცემს საკუთარ თავს და ოჯახშიც მეტი პატივისცემით მოეკიდებიან.

● **ხიტაყვამ მოიტანა და ჩვენი წყალბურთის ფინანსურ მხარესაც შევეხოთ. განსხვავდება თუ არა ქართველ წყალბურთელთა ხელფასი ამ ხელფასისგან, რომელსაც სხვა რესპუბლიკაში ღებულობენ სპორტსმენები?**

— აბსოლუტურად არა. აი, სწორედ ეს არ მასვენებს. ჩვენს წყალბურთელებს იგივე პირობები აქვთ, როგორიც სხვებს, ხოლო ნიჭი, ერის სიყვარული, დარწმუნებული ვარ, — უფრო მეტი. მაშ რატომღა უნდა ვაგებდეთ?

● **ამ შეკითხვას, ალბათ, მე უნდა გაძლევდეთ...**

— იმიტომ, რომ სპორტისადმი დამოკიდებულება პროფესიული კი არა, სამოყვარულოა. უნდა, მოვა სპორტსმენი ვარჯიშზე, ცოტას იცურავებს, წაითამაშებს, არ უნდა და მორჩა! — ვერ აიძულებ. მომავალი წლიდან ჩვენ ოფიციალურად გავხდებით წყალბურთის პროფესიული გუნდი, იმით ვიცხოვრებთ, რასაც გამოვიმუშავებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოყვარულები გუნდში, უბრალოდ, ვერ გაჩერდებიან. მაგრამ პროფესიონალებიც რომ ცოტანი არიან? ისე მიჭირს ხოლმე, რომ ზოგჯერ ვფიქრობ, დავტოვომეთქი გუნდის იცით, ერთმანეთს მარტო სპორტსმენები კი არ ეჯიბრებიან, არამედ მწვრთნელებიც, ყველა ცდილობს საკუთარი ტაქტიკური ვარიანტები განახორციელოს და ჩემთვის კოლეგებთან წაგება უბრალოდ, ტრაგედიაა. ჩემი მოთამაშეების დიდი ნაწილი კი წაგებას გაცილებით უფრო მშვიდად, გულგრილად ხვდება.

● **ყველა მოთამაშეზე ამბობთ, თუ ზოგიერთზე?**

— მადლობა ღმერთს, — ყველაზე არა. გუნდში არიან პროფესიონალები — მაგალითად: ტუკვაძე, კუტივაძე, დავთიანი, ასათიანი, ხარებოვი, ჩომახიძე, კარგი ახალგაზრდობა გვეზრდება. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა — ასეთი მიღწევა ჩვენ უკანასკნელად 1958 წელს გვქონდა! ვიმეორებ, ქართველ წყალბურთელთა უმრავლესობის „აჭილევსის ქუსლი“ დისციპლინაა. იქნებ მდგომარეობა გამოსწორდეს, თუ საკუთარი ბაზა გვექნება. თბილისში ავჭალის რაიონში, ოცადგილიანი სასტუმრო უკვე მზად არის. აუზი 1991 წლის აპრილში ჩადგება მწყობრში. და ვარჯიშები პლაჟის გართობას აღარ დაემსგავსება. თანაც, ახალი სპორტული ბაზა ახალ ხალხს მიიზიდავს წყალბურთში. ბავშვებს შეეძლებათ, თვალი ადევნონ დიდ სპორტსმენთა ვარჯიშებს. ესეც ხომ სტიმულია.

● **არ იფიქროთ, ხიტაყვამ მოიტანა და იმიტომ გეკითხებით. ამ შეკითხვას დიდ სპორტსმენებზე ხულერთია მოგცემდით. სპორტის დამსახურებულ ოსტატებს, თბილისის „დინამოში“ რომ უთამაშია, კაცი თითებზეც კი ჩამოთვლის, ხოლო უფრო ტიტულოვანი წყალბურთელი, ვიდრე მეკარე გიორგაძეა, უბრალოდ, არცა გვყოლია. მაგრამ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპისა და მსოფლიოს თახის მფლობელი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი მიხეილ გიორგაძე ისე წავიდა გუნდიდან, რომ იგი არც გაუცილებიათ, ისე ვთქვათ, „ინგლისურად“ წავიდა, შეუმჩნევლად...**

— არ ვიცი, რატომ წავიდა მიშა წყალბურთიდან. ის ჯერ ოცდაათი წლისაც არ არის. წყალბურთისთვის ამ ასაკს ვეტერანისა არ ეთქმის. იგი თავს ცუდად გრძნობდა, დაიღალა. შევთავაზე რამდენიმე თვე დაესვენა, მთაში წასულიყო, ოჯახთან, შვილებთან ერთად. მე დიდი იმედი მქონდა, რომ დაბრუნდებოდა, განსაკუთრებით, იმ მომენტში, როცა უმეკარეოდ დავრჩით, ძალიან სჭირდებოდა გუნდს. მაგრამ მიშა არ დაბრუნდა. ასე თქვა, სპეციალობის მიხედვით ვიშოვე სამუშაო (გიორგაძეს იურიდიული განათლება აქვს) და არ მინდა ადგილი დავკარგო. ამაში არის რაღაც სიმართლე — სპორტსმენებს, დიდებსაც კი, უჭირთ ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრება მას მერე, რაც მათი სპორტული კარიერა მთავრდება. ჩვენ გეგმაში გვაქვს მიხეილ გიორგაძის საზეიმო გაცილება.

● **7 სექტემბერს თბილისში ქვეყნის ჩემპიონატის ტური ჩატარდება. შეგიძლიათ დაიმედოთ თბილისის „დინამოს“ გუნდშემატკივრები?**

— პროგნოზებს ვერ შევუდგები იმიტომ, რომ, ვიმეორებ, დარწმუნებული არა ვარ მოთამაშეთა თავიანთ საქმისადმი პროფესიულ დამოკიდებულებაში. პოტენციალი არის, თეორიულად ჩვენ ყველას საიმისო შესაძლებლობა გვაქვს, რომ პრიზიორთა რიცხვში მოვხვდეთ. ვნახოთ, პრაქტიკულად რა გამოგვივა...

ესაუბრა პეპი ბოჭორიშვილი.

„სუპერ“ სენა

ფორმულა-1

26 აგვისტოს „სპა-ფრანკოშამპის“ ტრასაზე გაიმართა მსოფლიოს 41-ე. ჩემპიონატის მე-11 ეტაპი „ფორმულა-1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში. გათამაშდა ბელგიის „გრან პრი“.

თავისი 48-ე საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო აირტონ სენამ, მეორე იყო გერჰარდ ბერგერი, მესამე — ნელსონ პიკე.

სასტარტო ნიშნის მიცემის შემდეგ წინ გაიჭრა სენა, მაგრამ პირველივე წრეზე შეჩერდა, რადგან მის უკან პილოტებმა ერთმანეთს შეუშალეს ხელი და რამდენიმე ავტომობილი მწყობრიდან გამოვიდა.

სტარტი განახლდა. დაწინაურდა სენა, მაგრამ კვლავ მოუხდა გაჩერება. ამჯერად ავარიაში მოყვა პაოლო ბარილა, რომლის „მინარდისაც“ დაჯახებისგან ცეცხლი გაუჩნდა. პილოტმა მცირე ტრავმა მიიღო, რის გამოც ვეღარ განაგრძო რბოლა.



მესამე სტარტიც შესანიშნავად აიღო სენამ და რამდენიმე წრის გავლის შემდეგ დიდი მანძილით უსწრუბდა ბერგერს და პროსტს.

მე-14 წრეზე პროსტმა ოსტატურად აუარა გვერდი ბერგერს და გადაინაცვლა მეორე ადგილზე.

სიცხის გამო საბურავები სწრაფად ცვდებოდა და სენამ ბოქსიკენ შეუხვია, მას მიჰყვა პროსტიც. რამდენიმე წამში ბრაზილიელი პილოტი ტრასაზე დაბრუნდა და ბოქსიდან გამოსვლისას კინალამ შეეჯახა ალესანდრო ნანინის „ბენეტონს“, თუმცა, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ორივემ განაგრძო გზა. პროსტიც მალე დაბრუნდა ტრასაზე. მის წინ აღმოჩნდა ერთი წრით ჩამორჩენილი მიქელე ალბორეტი. დიდი ხნის ორთაბრძოლის შემდეგ იტალიელმა პილოტმა გზა დაუთმო ფრანგ კოლეგას.

კვლავ მარცხი განიცადა ნაიჯელ მენსელმა. ტიერი ბუტსანის ავტომობილი მწყობრიდან გამოვიდა და ბელგიელმა პილოტმაც შეწყვიტა რბოლა.

აირტონ სენამ კი პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და 25-ე „გრან პრი“ მოიპოვა. გამარჯვებათა რაოდენობის მიხედვით ახლა იგი მეხუთე ადგილზეა ნიკი ლაუდას შემდეგ.

აირტონ სენამ 44 წრე (305,60 კმ) გაიარა 1 საათში, 26 წუთსა და 31,997 წამში. საშუალო სიჩქარე საათში 211,729 კილომეტრს უდრიდა.

ტრასის რეკორდი დაამყარა ალენ პროსტმა (1 წუთ., 55,087 წამი. საშუალო სიჩქარე საათში 217,088 კილომეტრი). ეს ფრანგი პილოტის 34-ე საუკეთესო შედეგი.

ეტაპის საბოლოო შედეგი:

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 9; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 6; 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-ჰონდა“) —4; 4. ალესანდრო ნანინი (იტალია.) — 3; 5. ნელსონ პიკე (ბრაზილია)— 2. (ორივე „ბენეტონ-ფორდი“); 6. მაურიციო გუჟელმინი (ბრაზილია. „ლეიტონ ჰაუს (მარჩ)-ჯადი“) —1 ქულა.

პირადი ჩათვლა:

1 .აირტონ სენა — 63; 2. ალენ პროსტი — 50; 3. გერჰარდ ბერგერი — 33; ტიერი ბუტსანი (ბელგია, „უილიამს-რენო“) — 27; 5. ნელსონ პიკე — 24; 6. ალესანდრო ნანინი — 16; 7. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-რენო“) — 15; 8-9. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი“), ჟან ალესი (საფრანგეთი, „ტაირელ-ფორდი“) — 13-13; 10. ივან კაპელი (იტალია, „ლეიტონ ჰაუს (მარჩ)-ჯადი“) — 6; 11. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლოლა-ლამბორგინი“) — 5; 12. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ლოტუს-ლამბორგინი“) 3; 13-14. სტეფანო მოდენა (იტალია, „ბრებემ-ჯადი“), ალექს კაფი (იტალია, „ეროუზ-ფორდი“) — 2-2; 15-17. სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია, „ტაირელ-ფორდი“), აუგური სუძუკი (იაპონია, „ლოლა-ლამბორგინი“), მაურიციო გუჟელმინი— თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენი“ — 96; 2. „ფერარი“ — 63; 3.„უილიამსი“ — 42; 4. „ბენეტონი“ — 40; 5. „ტაირელი“ — 14; 6.„ლეიტონ ჰაუსი“ — 7; 7 .„ლოლა“ —6; 8. „ლოტუსი“ — 3; 9-10. „ბრებემი“, „ეროუზი“ — 2-2 ქულა.

დავით ჩუბინიძე

„სპორტლოტო“

ბაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 34-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.257.897 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (44) მოგება 1.156 მანეთია, ოთხისთვის (1.602) — 35, სამისთვის (27.250) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 28.397 ვარიანტი. 6—0, 5—3, 4—30, 3—670.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 13. 608.100 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (30) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (4.976) — 125, სამისთვის (159.682) —7.

საქართველოში: დაშვებულია 366.784 ვარიანტი. 5—0, 4—171, 3—4.399.

34-ე და 25-34 ტირაჟებში მოგებული 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

ბაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 34-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.751.244 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (60) მოგება 687 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1.406) — 58 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (14.736) — 19 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 1.28.133 ვარიანტი. 13—1 (ოზურგეთი), 12—54, 11—566.

34-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით.

რედაქტორი

თენგიზ ბაჩეჩილაძე

საშაჭრაკო კომპოზიცია ● ხელმძღვანელი ვალა ნეიძე

„მეცნიერება და ტექნიკა—40“

შეჯამდა ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ დაარსების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კონკურსი მინიატურული ეტიუდების შედგენაში, რომლის წინასწარი შედეგები ფართოდ გაშუქდა ჟურნალის იანვრის ნომერში. ამ საინტერესო შეჯიბრების საბოლოო შეფასებები (მსაჯი — ვ. ნეიძე) შემოსული შენიშვნების გათვალისწინებით შემდეგნაირად განაწილდა: I პრიზი — ვ. კალანდაძე (თბილისი), II პრიზი — ო. პერვაკოვი, III პრიზი — ნ. რიაბინინი (ტამბოვის ოლქი); საპატიო შეფასებები: 1-ლი — ა. პანკრატოვი (მოსკოვი), მე-2 — ვ. დოლგოვი (კრასნოდარის მხარე), მე-3 — რ. თავარიანი (თბილისი), მე-4 — ჯ. მახათაძე (ზესტაფონი), მე-5 — ა. სტავრიეცკი (ტამბოვი); საქები შეფასებები: 1-ლი — ვ. ამირიანი (ერევანი), მე-2 — შ. და რ. წურწუმიები (ჩხოროწყუს რ.), მე-3 — ა. გრინი (მოსკოვი), მე-4 — რ. თავარიანი, მე-5 — ს. აბრამენკო (ვოლგსკი); სპეციალური პრიზი — დ. გურგენიძე (თბილისი), სპეც. საქები შეფასება — ე. კვეზერელი (თბილისი).

გთავაზობთ გამარჯვებულ ეტიუდს.

3. კალანდაძე, 1990



მოგება

თეთრების დაბმული გამსვლელი პაიკი თითქოს განწირულია და შეევლა სჭირდება. 1. ეf3+ მფe8 2. ეf7! (ტლოს ლამაზი, მაგრამ ფიქციური შეწირვა, რადგან მისი აღება არ შეიძლება) ეa8 3. მფg7! (სულ ორიოდე სვლაში შავები უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ) ეc8 4. მფf6 d3 5. ეe7+! მფf8 6. ეh7 (შამათის შუქარით სხვა შემთხვევაში შავების გამსვლელი პაიკი მეტად საშიშ ძალად იქცევა) მფg8 7. ეd7 თეთრებმა თითქოს საწადელს მიაღწიეს: შავი პაიკი შეაჩერეს, თავისას კი „გაცოცხლების “კარგი პერსპექტივა შეუქმნეს. მაგრამ მეტოქე სხვანაირად ფიქრობს: 7.....d2! და იწყება მძაფრი სვლების ახალი სერია, რასაც დაფაზე ახალი ფიგურების გაჩენა მოსდევს — 8. ეd8+! მფh7 9. ე:c8 d1ლ 10. ეh8+! (ტლის ახალი შეწირვა!) მფ:h8 11. c8ლ+ (დაფაზე უკვე ლაზიერების ენდშპილია) მფh7 12. ლh3+ ლh5 (12... მფg8 13. ლe6+ მოგებით) 13. ლd7+ მფh6 14. ლg7×. „ბუნებრივი და ამასთან, ეფექტური თამაში ჯერ ეტლების, შემდეგ კი ლაზიერების დაბოლოებაში ლამაზი შამათით გვირგვინდება. ენდშპილების შეცვლის ეს რთული მაგალითი საუცხოო ქმნილებად მოგვევლინა“ (სამსაჯო ვერდიქტიდან).

XIV გუნდური

ახლახან საშაჭრაკო კომპოზიციის ცენტრალურმა კომისიამ (თავმჯდომარე — დიდოსტატი გ. ნადარეიშვილი) დაამტკიცა XIV საკავშირო გუნდური პირველობის რეგლამენტი და ჟურნალ „64 — შახმატნოე ობოზრენიის“ მე-13 ნომერში გამოაქვეყნა საჭადრაკო კომპოზიტორთა ამ პრესტიჟული შეჯიბრების ჩატარების პირობები და თემატური დავალებები. ასპარეზობა გაიმართება ექვს დაფაზე (ორ-, სამ-, მრავალსვლიანები, ეტიუდები, ამოცანები ნადიშამათსა და თვითშამათზე), რომელთა მსაჯები არიან: ლენინგრადელი გ. ეროხინი — ორსვლიან ამოცანებში, მინსკელი ვ. სიჩევი — სამსვლიანებში, ჩერნოვიცკელი მ. მარანდიუკი — მრავალსვლიანებში, პოდოლსკელი (მოსკოვის ოლქი) გ. უმნოვი — ეტიუდებში, რიგელი ა. ვირტმანისი — ნადიშამათში და თბილისელი რ. თავარიანი — თვითშამათში..

რ. თავარიანი, 1989



თვითშამათი 2 სვლაში

ილუზორული თამაში: 1....hg4 2. ლc4+ კd4×, 1....hgმ 2. ლ:e2+ მ:e2× ორ თემატურ (აქ სუსტი ფიგურების გაყვანა და ბატარეის შამათი) ვარიანტს ქმნის. ნამდვილ ამოხსნაში 1. ლa3! სვლის შემდეგ შავების იგივე დაცვებს (1....hg4 და 1....hgმ) მეორე სვლაზე სრულიად ახალი თამაში მოსდევს: 2. ლe3+ კ:e3× და 2. ლf3+ მ:f3× ბატარეის შამათებით. ეს ნაწარმოები, რომელმაც თავის დროზე გაზეთ „ვეჩერნაია ალმა-ატას“ კონკურსზე I პრიზი დაიმსახურა. მსაჯმა რ. თავარიანმა მის მიერ გამოცხადებული თემის საილუსტრაციოდ წარმოადგინა. თემა კი შემდეგნაირად ჟღერს: „თვითშამათი 2 სვლაში. თეთრების და შავების მეორე სვლების უბრალო შეცვლა (არანაკლებ ორ ვარიანტში) ერთნაირი დაცვების დროს“.

ვიმედოვნებთ, საქართველოს პრობლემისტები და ეტიუდისტები აქტიურად ჩაებმებიან მომავალ შეჯიბრებაში.

ამოხსნა

„ლელოს“ 22 ივლისის ნომერში დაბეჭდილი ს. ლოიდის სამსვლიანი ამოცანა (1. ლb8! და არა 1. ლe4? ეf8!) პირველებმა ამოხსნეს: კ. ქუხილავამ (ჯვარი), ა. ჩიქობავამ (სენაკი), ზ. ქველიაშვილმა, მ. ყოჩიაშვილმა, (ორივე — რუსთავი)), მ. დოლიძემ, ნ. და რ. კახიძეებმა (ყველა— ბათუმი), ა. და გ. ცინცაბაძეებმა, გ. ხუციურაულმა, ა. მიშველაძემ, ნ. ცანავამ (ყველა — თბილისი).

12 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი შ. სუხიტაშვილის ორიგინალური რეტროამოცანის დავალებაა: შამათი 2 სვლაში.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჭიჭინაძე, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380006, თბილისი, მ. კოსტავის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივნო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54,
„ბერანი“ — 98-97-28, „ბიბოვე“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი: 60435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380006, თბილისი, მ. კოსტავის ქ. 14,
ოფსეტური წესით ნაბეჭდი. ნაბეჭდი ფურცელი: ნიშარიულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებიან.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20